კვირა, 27 აგვისტო 1917 წ.

ფასი 10 კაპ.

# ბრძოლა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაზეთი ჯერ-ჯერობით გამოვა კვირაში ერთხელ. კორრესპონდენციები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Нерсесовская ул. № 3, стар. армянская семинарія.
გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 2 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 20 კ., 1 თვით 40 კ.
განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 10 კ.

№ 13 რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (მეუმრავლესეთა) თბილისის კომიტეტის ორგანო № 13

1917 წლის 4 ივნისიდან
ამხ. მ. ცხაკაიასა და ფილიპე მახარაძის
რედაქტორობით გამოდის სოც.-დემოკრატ. მეუმრავლესეების გაზეთი

## ბრძოლა,

რომლის პირველ ნომერში მოთავსებულია რუსეთის ს. დ. მ. პ. საერთო კონფერენციის ყველა რეზოლიუციები.

რედაქცია მოუწოდებს ყველა ამხანაგებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ „ბრძოლას“.

გაზეთი გამოვა ჯერ-ჯერობით კვირაში ერთხელ.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ Нерсесовская ул., № 3. სომეხთა ძველ სემინარიის შენობაში. ბარათები, წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Редакція «Брдзола», Нерсесовская ул. № 3. старая армянская семинарія.

კანტორა ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 5—7 საათ. რედაქცია: დილის 10 საათ. 2 საათამდე.
კანტორა კვირა უქმე დღეებში ღიაა მხოლოთ დილის 10—12 საათ.

კვირას, 27 მარიამობისთვეს, დილის 10 საათზე (ახალ დროზე), ზუბალაშვილთა სახელობის

დანიშნულია მომხმა სახალხო სახლში რებელთა საზოგადოება

„ალორძინების“

წევრთა წლიური საზოგადო

კრება

დღის წესრიგი: 1) გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთაღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები.

დაბეჭდილი ანგარიშები წევრებს შეუძლიანთ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებებში.

კრება კანონიერათ ჩაითვლება წევრთა რამდენი რიცხვიც უნდა დაესწროს.

გამგეობა.

## კავკ. საოლქო სიეზდი.

(ბალშევიკების).

რუსეთის ს.-დ. მ. პ. (ბალშევიკების) აპრილის კონფერენციაზე გამოთქმული სურვილის და აგვისტოს პარტიული სიეზდის დადგენილების თანახმათ ბაქოს დელეგატის წინადადებით სამშაბათს, 22 აგვისტოს სხდომაზე თფილისის კომიტეტმა მსჯელობა იქონია სიეზდის მოწვევის შესახებ და გადაწყვიტა:

1) სიეზდი მოწვეულ იქნას 15 სექტემბრისათვის ქ. თფილისში.

2) წარმომადგენლობა სიეზდზე შემდეგი წესით მოხდეს:

ორგანიზაციას, რომლის წევრთა რიცხვი მხოლოთ 100-300-მდე აღწევს, უფლება ეძლევა აირჩიოს სიეზდისთვის ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) წვრილი ორგანიზაცია, რომლის წევრთა რიცხვი 100 არ აღემატება, ირჩევს თავის დელეგატს, მხოლოთ სათათბირო ხმის უფლებით.

4. ასეთივე უფლებით ისარგებლებს ყველა ეგრეთ წოდებული „შეერთებული“ ორგანიზაცია, რომელიც კი სიეზდზე მონაწილეობის მიღების მსურველი იქნება, მას შეუძლია თავისი დელეგატი გამოგზავნოს სიეზდზე, რომელსაც მხოლოთ სათათბირო ხმის უფლება ექნება.

კომიტეტმა მომავალი კავკასიის საერთო სიეზდისათვის შეიმუშავა დღის შემდეგი წესრიგი:

1) მოხსენება საერთო პარტიულ სიეზდზე და პარტიულ ცენტრზე.

2) მოხსენებეზი ადგილობრივი წარმომადგენლებისგან.

3) მიმდინარე მომენტი.

4) დამფუძნებელი კრება.

5) ორგანიზაციული კითხვა.

6) ნაციონალური საკითხი.

7) პარტიის პრესაზე.

8) აგრარული საკითხი.

9) არჩევნები.

10) სხვადასხვა.

ამის შემდეგ კრებამ აირჩია საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც ევალება სიეზდის მოწვევის საქმის მოწყობა. ბიუროს წევრებათ არჩეულ იქნენ: ამხ. ს. ქავთარაძე, ს. კასიანი, მრავიანი, მალ. ტორო...ელიძე და მიშა ოკუჯავა.

მოხსენების წაკითხვა დაევალათ: მიმდინარე მომენტზე—ამხ. მიხა ცხაკაიას, დამფუძნებელ კრებაზე—გ. ნაზარეტიანს, ნაციონალურ საკითხზე—ს. შაუმიანს და მ. ტოროშელიძეს, აგრარულ საკითხზე—ფ. მახარაძეს.

ამას გარდა ბაქოს ამხანაგები აირჩევენ საკუთარ ბიუროს, რომელიც დახმარებას გაუწევს თბილისისას და მოაწყობს სიეზდის არჩევნებს ბაქოს გუბერნიასა და ჩრდილო კავკასიაში.

## დიდი კატასტროფა დასავლეთის ფრონტზე

დასავლეთის ფრონტზე მოხდა დიდი მარცხი. 21 აგვისტოს გერმანიის ჯარმა გაარღვია ფრონტები და დაიკავა ქ. რიგა, რიგის ყურე და გადალახა მდ. დვინა. ამნაირათ ის პატარ-პატარა მარცხები, რომლებსაც რუსეთის ჯარი განიცდიდა ამ უკანასკნელ დროს დამთავრდა მეტათ დიდი მარცხით, კატასტროფით. ეს კატასტროფა, ეჭვი არ არის იქონიებს უდიდეს გავლენას ომის გაგრძელებაზე. ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ რიგის და რიგის ყურეს დაკავებით გერმანელების მხრივ დიდ საფრთხეშივარდება მრავალი სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები; საფრთხე მოელის აგრეთვე თვით რევოლიუციასაც, ვინაიდან ჯარის კონტრ რევოლიუციონურ ნაწილს, განსაკუთრებით უმაღლეს ოფიცრობას, ხელმძღვანელობენ კონტრ-რევოლიუციონერი გენერლები კორნილოვის მეთაურობით.

აშკარაა, ამ დიდი კატასტროფის წინაშე პროლეტარიატმა და საზოგადოთ დემოკრატიამ დიდი სიფხიზლე და გამჭრიახობა უნდა გამოიჩინოს. ვინ იცის, ვინ, რომელი პარტია, როგორ გამოიყენებს ამ დამარცხებას. ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის, ვინ გამოიწვია, ვინ შეიქნა ნებსით თუ უნებლიეთ ამ მარცხის მიზეზი, ვინ არის აქ პირდაპირი დამნაშავე.

მკითხველებმა იციან, რომ როცა კერენსკის მიერ გამოცხადებული ახალი შეტევის შემდეგ ჩვენმა ჯარმა იწყო უკან დახევა, ეს მიაწერეს ბალშევიკების აგიტაციას ომის წინააღმდეგ, ერთი სიტყვით დამარცხებაში ამტყუნებდენ ბალშევიკებს. ეს ზღაპარი გაფანტული იქნა იმათ მიერ, ვინც პირდაპირი დამსწრე და მნახველი იყო ყოველივე იმის, რაც ფრონტზე ხდებოდა. იმავე დროს გამოირკვა, რომ ჯარის უკან დახევის პირდაპირი მიზეზი იყო ერთი მხრით სრული მოუმზადებლობა (საომარ იარაღების, სასურსათო საგნების უქონლობა) და მეორე მხრით ჯარის მოქანცვა, დაღლა და სურვილი ომის გათავებისა, დაბოლოვებისა, ვინაიდან ჯარს მობეზრდა სამი წლის განმავლობაში სისხლის ღვრა. აი რა იყო ჯარის დახევის მთავარი მიზეზები. ამას არ გაუწიეს ანგარიში, და ასეთ პირობებში დროებითმა მთავრობამ კერენსკის მეთაურობით გამოაცხადა ახალი შეტევა (18 ივნისს). ეს შეტევა გამოცხადდა იმ დროს, როცა ორივე მოპირდაპირე მხარე უკვე შეურიგდენ იმ აზრს, რომ არც გერმანელების მხრიდან და არც რუსეთის მხრით შეტევა აღარ შეიძლებოდა მომხდარიყო. ორივე მხარე, თანახმათ რუსეთის დემოკრატიის მოწოდებისა ყველა ქვეყნის დემოკრატიის მიმართ 14 მარტიდან, ემზადებოდა ზავისთვის. ეს მოლოდინი უეცრათ გაქრა. დროებითმა მთავრობამ, რომელშიაც შედიოდენ მენშევიკების და სოც.-რევოლიუციონერების წარმომადგენლები (წერეთელი, სკობელევი, კერენსკი, ჩერნოვი და სხ.) ინგლისის და ამერიკის კაპიტალისტების წინადადებით, მოულოდნელათ გამოაცხადა ახალი შეტევა: ეს ახალი შეტევა ნიშნავდა ომის განახლებას, იგი ნიშნავდა კიდევ მეტს, —ომის ხელახლა დაწყებას. მერე რა პირობებში? რუსეთის ჯარი დაქსაქსული და მოუმზადებელი, მოკლებული საომარ იარაღს და მასალას. ასეთ პირობებში ომის განახლება რუსეთის ჯარს დამარცხებას უმზადებდა. ყველა ჭკუაში მყოფი ადამიანისთვის ეს აშკარა იყო. მაგრამ დროებითმა მთავრობამ ინგლის-ამერიკის კაპიტალისტების მუქარის წინაშე დაკარგა გონიერება და მით მოამზადა დღევანდელი დამარცხება. აქედან აშკარათ ჩანს, თუ საიდან წარმოსდგა, ან ვინ მოამზადა და ხელი შეუწყო ამ დიდ კატასტროფას. ეს ერთი. მაგრამ დემოკრატიის წინაშე ახლა დგას მეორე საკითხი, უფრო დიდმნიშვნელოვანი. ეს არის სრული ალაგმვა კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის ერთი მხრით და კონტრ-რევოლიუციონური აფიცრობის მეორე მხრით. ეს უნდა იკისროს რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა რევოლიუციონურ ჯართან ერთათ. ეს იქნება რევოლიუციის შემდეგი ეტაპი. რომელიც მთელ ძალა-უფლებას დემოკრატიას გადასცემს.

ფ. მ.

## წითელი საბჭო.

რუსეთის რევოლიუციის გულში, წითელ პეტერბურგში მენშევიკებმა საშინელი დამარცხება იწვნიეს: ქალაქის ცენტრალურ საბჭოში მათ ვერ გაიყვანეს ვერც ერთი დეპუტატი. მენშევიკ-ინტერნაციონალისტებიდან, რომელნიც სავსებით უარყოფენ გაბატონებულ მენშევიკ-ობორონცების დამღუპველ ტაქტიკას, გავიდა 8 დეპუტატი. ბალშევიკებმა გაიყვანეს 67 დეპუტატი, რაც მენშევიკ-ინტერნაციონალისტებთან ერთათ შეადგენს 75 დეპუტატს. ესერებმა მიიღეს 75 ადგილი და ამნაირათ პროლეტარიატის სოციალდემოკრატიული ფრაქცია და წვრილი ბურჟუაზიის ესერთა ფრაქცია ძალთა თანასწორობას წარმოადგენს. თუ მივიღებთ სახეში, რომ ესერებშიაც შეიძლება ერიენ ინტერნაციონალისტები, მაშინ სასწორი უეჭველათ ჩვენი ფრაქციისკენ გადიხრება.

დიდი სიამოვნებით და კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამ მეტათ საყურადღებო ამბავს. მენშევიკებმა სავსებით დაიმსახურეს ეს ულმობელი დამარცხება. დიდხანს სჯიჯგნეს მათ რევოლიუცია თავისი უღირსი ხელებით, დიდხანს აწარმოვეს მათ ბურჟუაზიასთან შეთანხმების და თანამშრომლობის პოლიტიკა და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ აშკარათ გადავიდენ კონტრ-რევოლიუციის მხარეს რევოლიუციონურ მუშების და რევოლიუციონურ ჯარის წინააღმდეგ. მათ მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიას ომის გაგრძელებაში, მათ თავის წმინდა საქმეთ გამოაცხადეს შეტევის პოლიტიკა და ზავის ნაცვლათ გერმანელი იმპერიალისტების შემოსევა შესძინეს ქვეყანას; მათ აღადგინეს სიკვდილით სასჯელი, მათ მიუსიეს კონტრ-რევოლიუციონური კაზაკები რევოლიუციონურ მუშებს და სალდათებს და ასე თავისი ხელით დახვრიტეს მათი მოწინავე რევოლიუციონური ელემენტები; მათ ნიშანში ამოიღეს ბალშევიკები, რომლებიც კრიჭაში უდგენ მათ და ულმობელათ ააშკარავებდენ მათ მუხანათურ და რევოლიუციის დამღუპველ პოლიტიკას; მათ სარწმუნოთ მიიღეს ბალშევიკების წინააღმდეგ შეთხზული საზიზღარი ჭორები და ისინი გერმანიის აგენტებათ, ჯაშუშებათ და პროვოკატორებათ გამოაცხადეს; მათ მოაწერეს ხელი ჩვენი სახელოვანი ბელადის დატუსაღების ორდერს და კონტრ-რევოლიუციას მისცეს ისინი ხელში; მათ დაკეტეს მუშების და სალდათების ნაწვენადაგი გროშებით შექმნილი გაზეთები, მათ მიანგრ-მოანგრიეს და გაანადგურეს მათი სტამბები და თვით მუშები და სალდათები ათასობით ციხეებში ჩაამწყვდიეს; მათ ხელი შეუწყეს კონტრ-რევოლიუციის გამაგრება-გაძლიერებას, უბრძოლველათ მისცეს მას სისხლით მოპოებული რევოლიუციის პოზიციები და ამის შემდეგაც არ დაიშალეს მასთან ვაჭრობა და ჩარჩობა რევოლიუციონური პროლეტარიატის აშკარა სურვილის წინააღმდეგ; დიდი „ღვაწლი“ დასდეს მათ რევოლიუციონურ პროლეტარიატს და უკანასკნელმაც ღირსეულათ დააფასა მათი ამაგი: ერთ მშვენიერ დღეს პეტერბურგის პროლეტარიატმა გაკოტრებულათ გამოაცხადა მენშევიკები, სრულიათ გარიყა ისინი პოლიტიკური ასპარეზიდან, დიდი ზეიმით დამარხა ეს რევოლიუციისთვის დიდი ხნის მკვდარი პარტია და მის საფლავზე დიდი ლოდი მიაგორა.

პროლეტარიატმა იცნო თავისი პარტია, რევოლიუციონური სოციალდემოკრატია (ბალშევიკები), რომელიც 3—5 ივლისს მარტოთ მარტო ერთგულათ უდგა მას გვერდში და მასთან ერთათ უშიშრათ გაიტანა ღვირ-ახსნილი კონტრ რევოლიუციის თარეში. სოციალ-დემოკრატიაში გაიმარჯვა ინტერნაციონალურმა მიმდინარეობამ, პროლეტარიატმა დაადასტურა ეს გამარჯვება და მჭიდროთ შეკავშირდა მის გარშემო, რომ უფრო ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვოს მას. პროლეტარიატი მიხვდა, რომ ბალშევიკების დამარცხება რევოლიუციის დამარცხებაა და მთელი თავისი პროლეტარული სოლიდარობით გვერდში ამოუდგა მისი ინტერესებისთვის დევნილი და გაწამებული. მენშევიკების დამარცხება ეს რევოლიუციის გამარჯვებაა და პროლეტარიატმა შეგნებულათ მიართვა მენშევიკებს ეს თავისი ხელით დამზადებული საჩუქარი. ერთია პროლეტარიატი და ერთია მისი სოციალ-დემოკრატიული პარტია,—მენშევიკები ისტორიას ჩაბარდენ.

წვრილ-ბურჟუაზიული პარტია—ესერები — უმენშევიკებოთ ეპატრონებიან მთელ თავის ლაშქარს. მრავალ-რიცხოვანია იგი, მარა მას არ აქვს საკუთარი გზა, ის ან კონტრ-რევოლიუციას უნდა გაყვეს, ან პროლეტარიატს.

დარაზმული, შეკავშირებული და შეგნებით ძლიერი პროლეტარიატი დღეიდან უფრო მტკიცე ბრძოლას აწარმოებს იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში უკან გაიყოლებს წვრილ-ბურჟუაზიასაც. ამ უკანასკნელმა აშკარათ დაინახა, რომ ხსნა მხოლოთ პროლეტარიატის მხრის დაჭერაშია და რომ უამისოთ დაღუპვის კარზე მისული ქვეყანა გამოსავალს ვერ იპოვნის.

პეტერბურგის ქალაქის საბჭო წითელ საბჭოს წარმოადგენს. წვრილ-ბურჟუაზიას წინ ასეთი დილემა უდგება: გაყვეს 75 ბალშევიკ-ინტერნაციონალისტს თუ 42 კადეტ-იმპერიალისტს. დღევანდელი პირობები ძლიერათ უკარნახებს მას ირჩიოს ინტერნაციონალისტური გზა. ბალშევიკების ტაქტიკა ქვეყნის და რევოლიუციის დახსნის ერთად-ერთი იმედია. ეს ტაქტიკა გადააქცევს პეტერბურგის საბჭოს პეტერბურგის კომუნათ, რომელიც თავისი მიზნებით და სიდიადით ბევრათ გადააჭარბებს პარიზის 1871 წლის კომუნას. ფხიზელი დარაჯი რევოლიუციისა, ის გადაარჩენს რევოლიუციის გულს—პეტერბურგს გერმანელთა შემოსევიდან, გასწყვეტს ყოველივე კავშირს კონტრ რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან და თამამათ გადავა ახალ უფრო ძლევა-მოსილ რევოლიუციის ხანაში.

## ომი და ეკონომიური კატასტროფა.

ჩვენ ვიმყოფებით უდიდესი კატასტროფის წინაშე. მოსკოველი კაპიტალისტის და კონტრ-რევოლიუციონერი რიაბუშინსკის სიტყვები: „სიმშილის გამხმარი ხელი გამოახრჩობს რევოლიუციას და მის მეგობრებსო“ (костлявая рука голода задушитъ революцію и ея друзей), რომლებიც მან წარმოსთქვა საჯაროთ კაპიტლისტების და მემამულეების კრებაზე, სავსებით გამოხატავს იმ საშიშარ მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენ დღეს ვიმყოფებით. რა თქმა უნდა, რიაბუშინსკებს შიმშილი ვერას დააკლებს, ამაში ისინი დარწმუნებული არიან. სიმშილი ემუქრება უპირველესათ დემოკრატიას, მუშებს, გლეხებს, სალდათებს. ხალხის დამშევაში ბურჟუაზია ხედავს რევოლიუციის დასასრულს და კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას. ამას ბურჟუა-კაპიტალისტები და მემამულეები დღეს აღარ მალავენ. ამიტომ ისინი შეგნებულათ ამზადებენ და უწყობენ ხელს ქვეყნის დამშევას. ამიტომ კაპიტალისტები და მემამულეები ამცირებენ წარმოებას, კეტვენ ფაბრიკა-ქარხნებს, ტოვებენ დაუთესელათ თვალუწვდენელ მინდვრებს. ამით ისინი ამცირებენ საქონლის რაოდენობას ბაზარზე და იმავე დროს ზღაპრულათ adიდებენ ფასებს ყველა საქონელზე. კაპიტალისტები ამ შემთხვევაში იმდენ ულმობელობას იჩენენ, რომ ისინი არ ზოგვენ ისეთი ქარხნების და ფაბრიკების დაკეტვასაც კი, რომლებიც საომარ იარაღებს ამზადებენ. და აი სწორეთ აქ ჩნდება იმათი ნამდვილი სულისკვეთება, იმათი პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული, რაზედაც ისინი წამდაუწუმ გაიძახიან. იმათი სამშობლო—ეს იმათი ჯიბეა, და სხვა არაფერი. ომის საშუალებით ბურჟუაზია უზომოთ გამდიდრდა. გამდიდრდა იმ ხარისხამდე, რომ დღეს მას იმდენათ მოგება არ აინტერესებს, რამდენათ იმის

შენარჩუნება, რაც ომის განმავლობაში შეიძინა; მით უმეტეს, რომ რევოლიუცია შეუძლია ეს სიმდიდრე მას ხელიდან გამოაცალოს. აქედან აიხსნება ბურჟუაზიის შიში რევოლიუციის წინაშე, მისი სურვილი რევოლიუციას ბოლო მოუღოს, ე. ი. დაამარცხოს მუშები, გლეხები, სალდათები, და დაიბრუნოს ძველი დრო, როცა ის განუკითხავათ ბატონობდა მუშა ხალხზე. ამისთვის საუკეთესო საშუალებათ მას მიაჩნია ხალხის დამშევა, იმ ზომამდე მიყვანა, როცა „შიმშილის გამხმარი ხელი რევოლიუციას გამოახრჩობს“. მაგრამ ბურჟუაზია, კაპიტალისტები და მემამულეები ვერ მოესწრებიან ამ დღეს.

რუსეთის პროლეტარიატი იმდენათ ფხიზელია, რომ კაპიტალისტებს და მემამულეებს საშუალებას არ მისცემს ასეთი წყეული განზრახვა სისრულეში მოაყვანიოს. პროლეტარიატი, ულარიბესი გლეხობა და სალდათები ახლა აშკარათ ხედავენ, თუ რა წინააღმდეგობა არსებობს ერთი მხრით მშრომელ ხალხსა და მეორე მხრით კაპიტალისტებსა და მემამულეებს შორის. თუ ეს წინააღმდეგობა წინეთ ბუნდოვანი იყო, თუ იგი წინეთ ხალხისთვის გაუგებარი იყო, დღეს ამას სავსებით ეხდება ფარდა და აშკარავდება იმათი ინტერესების სრული შეურიგებლობა.

პროლეტარიატი, ულარიბესი გლეხობა ებრძვის ფაბრიკა-ქარხნების დაკეტვას, მინდვრების დაუთესავათ დატოვებას; პროლეტარიატი და გლეხკაცობა კარგათ ხედავს, თუ რა უბედურება მოელის ქვეყანას იმ ტაქტიკისაგან, რომელსაც დღეს ამნაირათ მემამულეები და კაპიტალისტები. აქ საქმეს ვერ შველის ასეთი ტაქტიკის მარტო სიტყვით დაგმობა, საჭიროა აქტიური მოქმედება კაპიტალისტების და მემამულეების წინააღმდეგ. როგორც ვიცით, ეს უკანასკნელები თავის დამღუპველ ტაქტიკას ორი გარემოებით ამართლებენ: 1) ვითომც მათ არ აქვთ ნედლი მასალა წარმოებისთვის, და 2) ვითომც მუშების გადამეტებული მოთხოვნების მეოხებით წარმოება მათ დღეს მოგების მაგიერ ზარალს აძლევს. გამოდის, რომ კაპიტალისტები ცაში მართალი არიან, როცა ამცირებენ, ან კეტავენ და აჩერებენ წარმოებას და იმავე დროს მთელ პასუხისმგებლობას მუშებს ახვევენ თავზე. მაგრამ ნამდვილი მათი განზრახვა—ეს რევოლიუციის სახლის გატეხა და მისი დასამარება. ისინი სტყუიან და სიყალბეს ჩადიან. საჭიროა ამ ტყუილის და სიყალბის გამოაშკარავება. ეს შეუძლია მხოლოთ შეგნებულ მუშებს. და იმიტომაც იყო, რომ შეგნებული მუშები მაშინვე მიხვდენ, თუ რაშიაც იყო საქმე და კაპიტალისტების სიყალბე რომ გამოეაშკარავებიათ წამოაყენეს წარმოებაზე მუშების კანტროლის დაწესება, და სადაც საჭიროა და მოსახერხებელი თვით წარმოების ორგანიზაციაც. ეს მრეწველობაში, მაგრამ კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობას. გლეხების ულარიბესი ნაწილი, რომელიც ხალხის დიდ უმრავლესობას შეადგენს, მოკლებულია წარმოების უმთავრეს იარაღს—მიწას, რომელიც კერძო მემამულეების ხელშია და დღეს დაუმუშავებელი რჩება, ვინაიდან მემამულეები დღეს უმეტეს ნაწილათ არც თითონ ამუშავებენ მიწას და არც გლეხებს აძლევენ დასამუშავებლათ. საჭიროა ეს მიწები ახლავე გადავიდეს გლეხების განკარგულებაში. ასეთია ერთათ ერთი ნამდვილი ღონისძიება, რომელიც დღევანდელი ეკონომიურ კრიზისს,—კრიზისს, გამოწვეულს საქონლის ნაკლებობით თუ სრული უქონლობით, რამდენიმეთ მაინც შეასუსტებს. მხოლოთ შეასუსტებს, ვინაიდან ძირითადი მიზეზი ეკონ. კრიზისისა კაპიტალისტების მიერ გამოწვეული ავაზაკური ომია. კაპიტალისტები გვემუქრებიან ჩვენ „სიმშილის გამხმარი ხელებით“ მოსპობას; იმათთვის არ კმარა ის, რომ ომში რამდენიმე ათეული მილიონი ახალგაზდა სიცოცხლე დაიღუპა; ისინი ფიქრობენ კიდევ სიმშილის საშუალებით მუსრი გაავლონ პროლეტარიატს და სოფლის ღარიბ ხალხს. ყოველივე ეს საჭიროა მათთვის რევოლიუციის დასამარცხებლათ და ძველი წყობილების დასაბრუნებლათ, ე. ი. კონტრ-რევოლიუციის გასამარჯვებლათ, ვინაიდან რამდენ მეტ სისხლს დაღვრიან ისინი დემოკრატიისას, იმდენათ უფრო მეტი იმედი ექნებათ დემოკრატიაზე გასამარჯვებლათ.

მაგრამ, იმათ სამწუხაროთ, აქ ისინი შეხვდებიან პროლეტარიატის მედგარ წინააღმდეგობას. კაპიტალისტები და მემამულეები ღალატობენ და ღუპავენ ქვეყანას, რომ თავიანთი კერძო კლასობრივი ინტერესები დაიცვან. პროლეტარიატი და გლეხობის ულარიბესი ნაწილი იძულებული ხდებიან ამ ნიადაგზე იმათ ებრძოლონ. ისინი არა თუ თხოულობენ წარმოებაზე კანტროლის დაწესებას, არამედ საქმით ახორციელებენ ამ კანტროლს და მიდიან კიდევ უფრო შორს: თითონ აწყობენ წარმოებას.

მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს ვერ მოუღებს ბოლოს დღევანდელ ეკონომიურ კრიზისს, რომლის მთავარი მიზეზი დღევანდელი მსოფლიო ომია. ომი ნთქავს სულ უფრო და უფრო მეტ სიმდიდრეს, გარდა ადამიანთა აუარებელი სხვერპლისა. ომის დღიური ხარჯი ამ ჟამათ აღწევს უკვე 50 მილიონ მანეთს. მთელი ეს ხარჯი იკვებება ორი წყაროთი: 1) სესხით და 2) ქაღალდის ფულის გამოშვებით. თუ როგორ იზრდება სახელმწიფოს სესხი, ამას ჩვენ ეხედავთ შემდეგი ცნობებიდან: სახელმწიფოს სესხი უდრიდა 1915 წლის პირველ იანვარს 10 ნახევარ მილიარდ მანეთს, 1916 წელს—19 ნახევარ მილიარდ მან., 1917 წელს—35 მილიარდ მანეთს, ხოლო 1918 წლის იანვრის სესხი მიახწევს უკვე 60 მილიარდ მანეთს. ასე რომ სახელმწიფოს წლიური შემოსავალი აღარ იკმარებს მარტო ამ სესხის სარგებლის გასასტუმრებლათაც. რაც შეეხება ქაღალდის ფულის გამოშვების ზრდას, იგი ყოველივე საზღვარს გადაცდა: იგი იზრდება წარმოუდგენელი სისწრაფით, და მასთან ერთათ ეცემა ქაღალდის ფულის ღირებულება. ამ მხრით სახელმწიფოს ორგვარი კრახი მოელის, თუ მდგომარეობა კიდევ ასე გაგრძელდა: ქაღალდის ფული სრულებით დაკარგავს ღირებულებას, მას გასავალი აღარ ექნება; მეორე მხრით, სახელმწიფო ბანკი ველარ შეძლებს ქაღალდის ფულის ვამოშვებას, ხაზინა დაცალიერდება და ველარ შეძლებს დღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ასეთ კრახს სახელმწიფო უკვე უახლოვდება. ამას აღარ მალავენ დროებითი მთავრობის წარმომადგენლები, და იმავე დროს მის თავიდან ასაცილებლათ არავითარ რადიკალურ ზომას არ ხმარობენ. დროებითი მთავრობა განაგრძობს იმ დამღუპველ პოლიტიკას ყველაფერში, რომელსაც ადგა დამხობილი მეფის მთავრობა.

ხსნა ყველა ამ უბედურებისაგან მხოლოთ ომის დაბოლოვებაში უნდა ვეძიოთ.

**ფ. მახარაძე.**

## როგორ ზრუნავენ მემამულეების ინტერესებისთვის?

გაზ. „კავკაზი“ № 189-ში მოთავსებულია შემდეგი საყურადღებო ცნობა: საგლეხო დეპუტატების ცენტ. საბჭოს კრებაზე 22 აგვისტოს განხილულ იქნა ტელეგრამა, გამოგზავნილი ქ. ახალქალაქიდან ყველა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების მიერ. ამ ტელეგრამიდან ვტყობილობთ, რომ ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კამიტეტს შეუჩერებია ახალქალაქის სამაზრო კამიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ ის გადასახადი (ბაგრა), რომელსაც გლეხები აძლევენ მემამულეებს, შემცირებულ იქნას ერთ მეოთხედ—ერთ მეხუთიდან ერთ მეათედმდე. ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ასეთი განკარგულების გამო, რომელიც სავსებით მემამულეების კერძო ინტერესების დასაცავათ არის მიმართული, თითქმის მთელ მაზრაში ყოველგვარი სამეურნეო მუშაობა შეჩერებულა, პური მოუმკალი რჩება, ე. ი. წლის მოსავალი იღუპება და გარდა ამისა ამ ნიადაგზე მოსალოდნელია სისხლის ღვრა.

აი რას ატყობინებენ ტელეგრამით გლეხთა დეპ. ცენტ. საბჭოს ქ. ახალქალაქიდან ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები. მერე რა პასუხი გასცა ამ ტელეგრამაზე გლეხთა დეპ. საბჭომ? საბჭომ დამშვიდებით მოისმინა ტელეგრამა, მოისმინა აგრეთვე ის, რომ ამიერ-კავკასიის კამიტეტს ამის თაობაზე გაუგზავნია ახალქალაქის მაზრაში თავისი დელეგატი, და ამით დაკმაყოფილდა.

მთელი ეს ამბავი მეტათ ბევრი მხრით არის საგულისხმიერო. ჯერ ერთი, ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კამიტეტი, სავსებით გამოხატავს და იცავს მემამულეების ინტერესებს, ე. ი. იგი ემსახურება კონტრ-რევოლიუციონურ კლასს; იგი წინააღმდეგია არა მარტო იმის, რომ მიწები გლეხობის ხელში გადავიდეს, არამედ იმისაც კი, რომ გლეხებს რამე შეღავათი მიეცეს მემამულეების მხრით შევიწროებისაგან. თავისთავათ იგულისხმება, რომ აქ გასაკვირალი არაფერია, ვინაიდან ამიერ-კავკასიის კამიტეტი კოალიციონური სამინისტროს ორგანოა, და ასრულებს იმას, რასაც მას მთავრობა უბრძანებს. მაგრამ გასაკვირალია მეორე გარემოება, სახელდობრ ის, რომ გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელიც ვალდებულია გლეხების ინტერესები დაიცვას, ამ საქმეში პილატესავით ხელს იბანს, თითქო ეს მას არც კი ეხებოდეს. ეს საბჭო, როგორც ჩანს, სავსებით შეუზოჰავს და თავის გავლენისთვის დაუმორჩილებია დრ. მთავრობას, რომელიც კაპიტალისტების და მემამულეების ინტერესებს ემსახურება. ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ: ვისგან შესდგება გლეხების დეპ. ცენტ. საბჭო? რამდენათაც ვიცით, უმრავლესობის იქ მენშევიკები და სოც.-რევოლიუციონერები შეადგენენ. ჩვენ ვიცით, რომ ეს პარტიები წინააღუდგენ გლეხების ხელში გადასულიყო მიწები ახლავე დამფუძნებელ
ბამდე, და ეს იყო იმათ მხრით
დათმობა მემამულეების სასარგებ
მაგრამ თუ ეს პარტიები მემამულ
ინტერესების დაცვაში კიდევ
შორს წავიდოდენ, თუ ისინი სა
დადგებოდენ მემამულეების ინტერ
ზე და პირდაპირ გასცემდენ და უ
ტებდენ გლეხებს,—ეს ჩვენ არ ვიცი
ახლა ჩვენ ვიცით, თუ რა ფასი აქ
შევიკების და სოც.-რევოლიუციო
ბის ლოზუნგებს მიწების კონფის
შესახებ, ჩვენ ვიცით, თუ რათ ც
ბენ ისინი მიწის საკითხის გადადებ
ფუძნებელი კრების მოწვევამდე.
თვით გლეხებმაც უნდა გაახილონ
ლები და მიხვდენ, თუ რანაირათ
იმათ ინტერესებს ის პარტიები,
მელთაც სიტყვით „მიწა და თა
ლება“ დააწერეს თავიანთ დრო
მაგრამ, რომლებიც საქმით ყოველ
ნაბიჯზე ღალატობენ ამ ლოზუნგ
იმავე დროს საქმით, და არა სი
ემსახურებიან ხალხის მტრებს.

## ამხ. ნ. ლენინის პასუ

(დასასრული).

ვინც შეეცდება ისტორიულათ
სოს 3 და 4 ივლისის დღეები,
უარყოფს, რომ ეს მოძრაობა სა
ისეთივე ხასიათისაა, როგორც 20
აპრილის მოძრაობა.

ორივე შემთხვევაში მასის ღლ
ბამ სტიქიურად აღმოხეთქა.

ორივე შემთხვევაში ქუჩაზე გა
შეიარაღებული მასა.

ორივე შემთხვევაში ადგილი
მანიფესტანტებისა და კონტრ-მანიფე
ნტების სროლას, რასაც მოყვა
მხრიდან თითქმის თანასწორი
ადამიანთა მსხვერპლისა.

ორივე შემთხვევაში მთავრობის
ნააღმდეგო მანიფესტაცია განსაკუ
ბული სახისა (რომლის ნიშნები
ჩამოვთვალეთ) დაკავშირებულია
უფლების ღრმა და ხანგრძლივ კ
თან.

ორივე შემთხვევაში რევოლიუცი
მასისა და ბურჟუაზიის კონტრ-
ლიუციონურ ელემენტებს შორის
ხილმა ბრძოლამ საშინელი სიმწ
იფეთქა, რომლის დროსაც მოქმე
ასპარეზი დროებით დასცალეს საშუ
შეთანხმების მომხრე ელემენტებმა.

განსხვავება ამ ორ მოძრაობათა
რის იმაში მდგომარეობს, რომ მ
გაცილებით მწვავეა პირველზე და

## ლოზუნგებზე.

(ლენინის წერილი).

ხშირათ ხდება ხოლმე, რომ, როცა ისტორიული მსვლელობა გვერდზე უხვევს და ნახტომს აკეთებს, მოწინავე პარტიებსაც ცოტათ თუ ბევრათ კარგა ხნის განმავლობაში უჭირთ ახალ მდგომარეობას შეეჩვიონ და ისინი იმეორებენ ისეთ ლოზუნგებს, რომლებიც გუშინ [illegible] იყო, მარა დღეს კი ისევე [illegible] აუკარგავთ აზრი და მნიშ[illegible] ორც „უეცრათვე“ მომხ[illegible] რიული გადახვევა.

[illegible] მსგავსი რამ შეიძლება განმეორდეს ახლა მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადასვლის ლოზუნგის შესახებ. ეს ლოზუნგი ჩვენი რევოლიუციის წარსული ხანის პირდაპირი მსვლელობის სწორი გამომხატველი იყო, ვთქვათ 27 თებერვლიდან დაწყებული 4 ივლისამდე. ახლა-კი მან სისწორე აშკარათ დაკარგა. თუ ეს არ გავიგეთ, ისე ამ ჟამათ წამოყენებულ კითხვებში სრულ გაუგებრობას გამოვიჩენთ. ყოველი ცალკე ლოზუნგი განსაზღვრულ პოლიტიკური მდგომარეობის განსაკუთრებულ გარემოებათაგან უნდა გამომდინარეობდეს. ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა კი რუსეთისა ძირითადათ განსხვავდება იმ მდგომარეობისგან, რომელიც 27 თებერვლიდან 4 ივლისამდე იყო დიმკვიდრებული.

მაშინ, რევოლიუციის უკვე განვლილ ხანაში, გამეფებულიყო სახელმწიფოში ეგრეთ წოდებული „ორმართველობა“, რომელიც, როგორც ნივთიერათ ისე ფორმალურათ გამოხატავდა განუსაზღვრელ გარდამავალ მდგომარეობას სახელმწიფო ძალა-უფლებისას. არ უნდა ვიწყებდეთ, რომ ძალა-უფლების კითხვა, ეს ძირითადი საკითხია ყოველი რევოლიუციისა.

მაშინ ძალა-უფლება რყევაში იყო. მას საბჭოები და დროებითი მთავრობა ნება-ყოფლობით ინაწილებდენ ურთიერთშორის. საბჭოები თავისუფალ მასის, ე. ი. ყოველგვარ ძალდატანების გავლენისგან თავისუფალ მუშებისა და სალდათების, თუმცა შეიარაღებულების, დელეგაციებს წარმოადგენდენ. იარაღის ქვეშ ხალხის დგომა, გარეშე ძალების მხრივ მასზე ძალდაუტანებლობა, აი, რაში გამოიხატება საქმის არსებითი მხარე, აი რა იძლეოდა საშვალებას, რომ მთელი რევოლიუცია წინ წასულიყო და მშვიდობიანი გზით განვითარებულიყო. საბჭოების ხელში მთელი ძალა-უფლების გადასვლის ლოზუნგი უმახლობელესი ნაბიჯი იყო, რომელიც მშვიდობიანი განვითარების პირდაპირი განხორციელება იქნებოდა. ეს იყო რევოლიუციის მშვიდობიანათ განვითარების ლოზუნგი, რომელიც 27 თებერვლიდან 4 ივლისამდე იყო შესაძლებელი და რა თ[illegible] უნდა სასურ[illegible]ლიც და რაც დღეს [illegible]ველათ შეუძლებელია.

როგორც სჩანს ამ ლოზუნგის „საბჭოების ხელში ძალა-უფლების გადასვლის“ ყველა მხარე როდი ჩაჰკვირვებია იმას, რომ იგი რევოლიუციის მშვიდობიანათ განვითარების, წინ სვლის ლოზუნგი იყო. მშვიდობიანი იყო იგი არა მარტო იმ აზრით, რომ არავის, არც ერთ კლასს, ვერავითარ სერიოზულ ძალას არ შეეძლო მაშინ (27 თებერვლიდან 4 ივლისამდე) წინა აღდგომოდა და ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადასვლისთვის ხელი შეეშალა. ამით კიდევ ყველაფერი არ თქმულა. მშვიდობიანი განვითარება მაშინ იმ აზრითაც და იმ მხრითაც შეძლებოდა, რომ კლასთა და პარტიათა ბრძოლა საბჭოების თვით შიგნითაც, რაკი თავის დროზე მთელი ძალა-უფლება მათ ხელში გადავიდოდა, მაშინ უფრო მშვიდობიან ხასიათსაც მიიღებდა და გაუჭირვებლათაც იქნებოდა წარმოებული.

ამ უკანასკნელ მხარეზეც ნაკლებათაა ყურადღება მიქცეული. საბჭოები თავიანთი კლასობრივი შედგენილობით, მუშებისა და გლეხების მოძრაობის ორგანოებს წარმოადგენენ, მათი დიქტატურის მზამზარეულ ფორმას გამოხატავდენ. მათ რომ მთელი ძალა-უფლება ხელთ ეღოთ, მაშინ წვრილ ბურჟუაზიულ წრეების მთავარი ნაკლი, უმთავრესი ცოდვა, კაპიტალისტებზე მინდობა, პრაქტიკაში თავისთავად გაქრებოდა, რადგან მათგანვე მიღებული ზომები სინამდვილეში მათივე მოქმედებას კრიტიკის ქარ ცეცხლში გაატარებდა. ძალა-უფლების მპყრობელ კლასებისა და პარტიების ერთი-მეორის ალაგზე გადასვლა მათგანვე განუყოფელ და სრული მართველობის პირობის დაცვის ნიადაგზე შესაძლებელი იყო მშვიდობიანი გზით მომხდარიყო; ხალხთან საბჭოების ყველა პარტიების კავშირი მკვიდრი და შეურყეველი დარჩებოდა. ერთი წამითაც არ შეიძლება მხედველობიდან გაუშვათ ის, რომ მხოლოთ ამ საბჭოების პარტიების ხალხთან მჭიდრო კავშირს, რომელიც ისე თავისუფლათ ღრმათა და ვრცლათ ვითარდებოდა, შეეძლო ბურჟუაზიასთან წვრილ-ბურჟუაზიული შეთანხმების ილიუზიების [illegible] გაქრობა გამოეწვია. საბჭოებ[illegible] ძალა-უფლების გადასვლა [illegible] შეცვლიდა კლასთა ურ[illegible] გლეხთა წვრილ-ბურჟუაზიულ ბუნებასაც ვერ შეეხებოდა. მაგრამ იგი თავის დროზე დიდ ნაბიჯს გადაადგმევინებდა გლეხებს, რომ კავშირი შეეწყვიტათ ბურჟუაზიასთან, ხოლო მუშებს კი შეერთებოდენ.

ასე მოხდებოდა, რომ ძალა-უფლება საბჭოების ხელში თავის დროზე გადასულიყო. ხალხისთვის ეს უფრო ადვილი და უფრო სასარგებლო იქნებოდა. ასეთი გზა ყველაზე ადვილი და გაუჭირვებელი იყო, ამიტომ ბრძოლა მის გასატარებლათ ყველაზე მეტი ენერგიით უნდა გვეწარმოებია. მაგრამ ახლა ეს ბრძოლა უკვე გათავებულია. მშვიდობიანი განვითარება უკვე შეუძლებელი გახდა. დაიწყო არამშვიდობიანი, ყველაზე უფრო ძნელი, ნარეკლიანი გზა.

4 ივლისის მნიშვნელობაც სწორეთ იმაში გამოიხატება, რომ მას შემდეგ ობიექტიურმა მდგომარეობამ ერთბაშათ სახე იცვალა. ძალა-უფლების საყოყმანო მდგომარეობა შეწყდა, იგი გადამწყვეტი მნიშვნელობით უკვე კონტრ-რევოლიუციის ხელში გადავიდა. წვრილ ბურჟუაზიული პარტიების—ესერების და მენშევიკების—კონტრ რევოლიუციონურ კადეტებთან შეთანხმების ნიადაგზე დაწყებულმა პარტიულმა განვითარებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ორივე ეს წვრილ-ბურჟუაზიული პარტია კონტრ-რევოლიუციონურ კადეტებთან შეთანხმების ნიადაგზე დაწყებულმა პარტიულმა განვითარებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ორივე ეს წვრილ-ბურჟუაზიული პარტია კონტრ-რევოლიუციონური ჯალათობის ფაქტიური მონაწილე და ხელის შემწყობი გახადა. წვრილი ბურჟუები კაპიტალისტებზე შეუგნებელმა დინდობამ პარტიული ბრძოლის მსვლელობის მეოხებით ისე შეცვალა, რომ კონტრ-რევოლუციონერების მხარის დაჭერა მათ შეგნებულათ იწყეს. პარტიათა
თიერთ შორის დამოკიდებულებათა
ვითარების ერთგვარი წრე უკვე შე
27 თებერვალს ყველა კლასები მო
ქის წინააღმდეგი აღმოჩნდენ.

4 ივლისის შემდეგ კონტრ-რევოლ
ციონურმა ბურჟუაზიამ მონარქისტ
და შავრაზმელებთან ხელი-ხელ ჩა
ბულმა, წვრილბურჟუაზიული ეს
და მენშევიკებიც შეაერთა, რამდე
დატუქსა-დააშინა კიდეც და ფაქტი
სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება
ნიაკებს, სამხედრო „შაიკას“ ხელთ
ცა, რომელმაც ფრონტზე ურჩი ჯა
კაცები დახვრიტა, ხოლო პიტერში
შევიკები დაარბია.

საბჭოების ხელში ძალა-უფლები
დასვლის ლოზუნგის ხელახლა წა
ნება ახლა დონკიხოტობა ან და
მასხარათ აგდება იქნებოდა. ეს ლო
გი ობიექტიურად დღეს ხალხის მო
ბას თუ გამოთქვამდა. იმ ილიუ
ჩაგონება იქნებოდა, რომ ვითომ
ჰოებს დღესაც შეუძლიათ ძალა-უფ
ხელთ აიღონ, ოღონდ კი მოისუ
თითქო საბჭოებში დღესაც
ისეთი პარტიები, რომელთაც ჯალ
ბის ხელის შეწყობით ჩირქი არ მო
ბოდეთ, თითქო განვლილი გზა
ლილი არ იყოს.

უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვე
რა, რომ რევოლიუციონურ პროლე
რიატს თითქო შეეძლოს, ასე ვთ
«შური იძიოს» ესერებზე და მენშე
ზე იმისთვის, რომ ამ უკანასკნელ
მხარი დაუჭირეს ბოლშევიკები და
ფრონტზე ჯარისკაცები დახვრე
ხოლო შინ მუშებისათვის იარაღი ა
თითქო შეეძლოს კონტრ-რევოლიუ

ში, რომ ესერების და მენშევიკების პარტიები, რომლებსაც ნეიტრალურათ ეჭირა თავი 20—21 აპრილს, მას შემდეგ იმდენათ გაიხლართენ კონტრ-რევოლიუციონურ კადეტების მოსხრეობაში (კოალიციონური სამინისტრო, შეტევის პოლიტიკა), რომ 3 და 4 ივლისის კონტრ-რევოლიუციის მხარეზე აღმოჩნდენ.

კადეტების კონტრ-რევოლიუციონური პარტია 20—21 აპრილის შემდეგაც ასევე უტიფრათ სტყუოდა და ყვიროდა: «ნევსკი პროსპექტზე ლენინელები ისროდენ და ასევე კომედიანტურათ თხოულობდენ გამოძიების დანიშვნას. მაშინ კადეტები და მათი მეგობრები უმრავლესობას შეადგენენ მთავრობაში და მაშასადამე გამოძიებაც მთლათ მათ ხელში იყო. გამოძიება დაიწყეს, მალე შეწყვიტეს და არც არაფერი გამოუქვეყნებიათ.

რატომ? აშკარაა იმიტომ, რომ ფაქტები არ ამტკიცებდენ იმას, რაც კადეტებს სურდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: 20—21 აპრილის შესახებ გამოძიება „მიაფუჩეჩეს", რადგანაც ფაქტები ამტკიცებენ, რომ სროლა დაიწყეს კონტრ-რევოლიუციონერებმა, კადეტებმა და მათმა მეგობრებმა. ეს ცხადია,

იგივე მოხდა 3—4 ივლისს და ამიტომ ასე ტლანქი და უხეშია ბატონ პროკურორის თაღლითობა, რომელიც ფეხქვეშ სთელავს ოდნავ კეთილ-სინდისიერ გამოძიების წესებს, რომ ასიამოვნოს წერეთელს და კომპ.

3 და 4 ივლისის მოძრაობა უკანასკნელი ცდა იყო, რომ მანიფესტაციის შემწეობით გავლენა მოეხდინათ საბჭოებზე, რომ მათ ძალა-უფლება ხელში აეღოთ. ამ მომენტის შემდეგ საბჭოები, ე. ი. იქ გაბატონებული ესერები და მენშევიკები ძალა-უფლებას ფაქტიურათ აძლევენ კონტრ-რევოლიუციას, რომელსაც წარმოადგენენ კადეტები და მხარს უჭერენ ესერები და მენშევიკები. ეხლა რევოლიუციის მშვიდობიანი განვითარება რუსეთში უკვე შეუძლებელია და ისტორიამ ასე დააყენა საკითხი: ან სრული გამარჯვება კონტ-რევოლიუციისა ან ახალი რევოლიუცია.

2

ბრალდება ჯაშუშობასა და გერმანიასთან კავშირის დაჭერაში—ეს ხომ წმინდათ ბეილისის საქმეა, რომელზედაც ძლიერ ცოტას შევჩერდებით. აქ „გამოძიება" პირწმინდათ იმეორებს ცნობილ ცილის მწამებელ ალექსინსკის ცილისწამებას და განსაკუთრებული სიტლანქით აყალბებს ფაქტებს.

ტყუილია, ვითომ 1914 წელს ავსტრიაში მე და ზინოვიევი დაგვიჭირეს. დამიჭირეს მარტო მე.

ტყუილია, ვითომ მე დამიჭირეს, როგორც რუსეთის ქვეშევრდომი. მე დამიჭირეს იმიტომ, რომ ჯაშუში ვეგონეთ. ადგილობრივ ჟანდარმს ჩემს რვეულში მოთავსებული აგრარული სტატისტიკის დიაგრამები „პლანებათ" მოეჩვენა! ეტყობა, ის ავსტრიელი ჟანდარმი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ალექსინსკის და „ედინსტვოს" ჯგუფს. მაგრამ, ვეგონებ მე კი ვერავინ შემედრება, როგორც ინტერნაციონალიზმისთვის დევნილს, რადგანაც ორივე მებრძოლ კოალიციაში მე მდევნიდენ, როგორც ჯაშუშს. ავსტრიაში—ჟანდარმი, რუსეთში—ალექსინსკი, კადეტები და კომპ.

ტყუილია, ვითომ ჩემს განთავისუფლებაში ავსტრიის ციხიდან განეცკიმ იქონია გავლენა. გავლენა იქონია ვიქტორ ადლერმა, რომელმაც შეარცხვინა ავსტრიის მთავრობა. გავლენა იქონიეს პოლონელებმა, რომელთაც ცხვენოდათ, რომ მათ ქვეყანაში შესაძლებელია რუსეთის რევოლიუციონერის ასეთი საზიზღარი დატუსაღება.

ბინძური სიცრუეა, თითქოს მე კავშირი მქონდა პარვუსთან, დავდიოდი მასთან ტყვეების ბანაკებში და სხ. არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. პარვუსის ჟურნალ „კოლოკოლის" პირველი ნომრების გამოსვლის შემდეგვე ჩვენს გაზეთ „სოციალდემოკრატში" ჩვენ ვუწოდეთ პარვუსს რენეგატი, ნემეცების პლეხანოვი. პარვუსი ისეთივე სოციალ-შოვინისტია გერმანიის მხარეს, როგორც პლეხანოვია სოციალ-შოვინისტი რუსეთის მხარეს. როგორც რევოლიუციონურ ინტერნაციონალისტებს ჩვენ არც რუსეთის, არც გერმანიის, არც უკრაინის სოციალ - შოვინისტებთან („უკრაინის განთავისუფლების კავშირი") არ გვქონია და არც შეიძლებოდა გვქონოდა რაიმე საერთო.

შტეინბერგი ემიგრანტების კომიტეტის წევრია სტოკჰოლმში. პირველათ მე ის სტოკჰოლმში ვნახე. მახსოვს, რომ შტეინბერგი 20 აპრილს თუ ცოტა გვიან პეტროგრადში ჩამოვიდა და ცდილობდა ემიგრანტების საზოგადოებისთვის სუბსიდია ეშოვნა. ამის შემოწმება პროკურორს სულ ადვილათ შეეძლო, მას რომ ქონოდა სურვილი შემოწმებისა.

პროკურორი მით იადვილებს საქმეს, რომ პარვუსი დაკავშირებულია განეცკისთან და განეცკი ლენინთან. მაგრამ ეს წმინდათ მაშენიკური ხერხია, რადგან ყველამ იცის, რომ განეცკს ფულის საქმეები ქონდა პარვუსთან და ჩვენ განეცკისთან კი არავითარი საქმე არა გვქონდა.

განეცკი, როგორც ვაჭარი პარვუსთან მსახურებდა, რადგან მასთან ერთათ ვაჭრობდა. მაგრამ მთელი რიგი რუსეთის ემიგრანტებისა, რომელთაც პრესაში დაასახელეს თავისი თავი, მსახურებდა პარვუსთან, მის საწარმოვო საქმეებში და დაწესებულებებში.

პროკურორი მით აადვილებს საქმეს, რომ კომერციულ მიწერ-მოწერაში შეიძლება დამალული იყოს ჯაშუშური ხასიათის კავშირი. საინტერესოა, რამდენი წევრი კადეტების, მენშევიკების და ესერების პარტიისა დაჯდებოდა საბრალდებულო სკამზე კომერციული მიწერმოწერის ამ ღირს-შესანიშნავი რეცეპტის მეოხებით.

მაგრამ თუ პროკურორს აქვს დეპეშების მთელი რიგი განეცკისა სუმანსონთან (თუ პროკურორმა იცის, რომელ ბანკში, რამდენი და როდის ინახებოდა სუმენსონის ფული (პროკურორი კი ბეჭდავს ორიოდე ციფრს ამის მაგიერს), რატომ პროკურორი არ მიაღებინებს მონაწილეობას გამოძიებაში ორ-სამ კანტორის მოსამსახურეს? ისინი ხომ ორი დღის განმავლობაში მიაწოდებდენ მას სრულ ამონაწერს ყველა სავაჭრო წიგნებიდან და ბანკის წიგნებიდან?

მგონი არსად ისე ნათლათ არ გამოაშკარავებულა ამ „ბეილისის საქმის" ხასიათი, რომ პროკურორს მოყავს მხოლოთ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ციფრები: „სუმენსონმა ნახევარი წლის განმავლობაში 780.000 მანეთი გაიწერა თავისი მიმდინარე ანგარიშიდან, დარჩა კიდევ 180.000 მანეთი". რაკი ციფრებს ბეჭდავენ, რატომ სრულათ არა ბეჭდავენ: სახელდობრ როდის, ვისგან აიღო სუმენსონმა „ნახევარ-წლის განმავლობაში" ფული და ვის გადუხადა? სახელდობრ როდის და რა საქონელი იყო მიღებული?

სრული ციფრების შეგროვებაზე ადვილი რაღა არის? ამის გაკეთება ორ-სამ დღეში შეიძლებოდა და კიდეც უნდა გაკეთებულიყო. ეს გამოაშკარავებდა განეცკის და სუმანსონის კომერციულ მოქმედების მთელ წრეს! ეს ადგილს აღარ დაუტოვებდა იმ ბნელ ეჭვებს, რომლებითაც პროკურორი სარგებლობს!

ყველაზე ჭუჭყიანი და ბინძური ცილისწამება ალექსინსკისა „სახელმწიფო" კილოზე გადაწერილი წერეთლის და კომპანიის სამინისტროს ჩინოვნიკების მიერ—აი რა ძირს დაეცენ ესერები და მენშევიკები!

3.

დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ „სამოსამართლო საქმეები", რომელიც წამოიწყო წერეთლის, კერენსკის და კომპ. სამინისტრომ ბალშევიკების წინააღმდეგ, მართლა სამოსამართლო საქმეებია. ეს მართლა მიუტევებელი კონსტიტუციონური ილიუზია იქნებოდა.

ესერები და მენშევიკები, რომლებიც შევიდენ კოალიციაში კონტრ-რევოლიუციონურ კადეტებთან 6 მაისს და მიიღეს პოლიტიკა შეტევისა, ე. ი. იმპერიალისტური ომის განახლებისა და გაჭიანურებისა, გადაიქცენ კადეტების ტყვეებათ.

როგორც ტყვეები, ისინი იძულებული არიან მონაწილეობა მიიღონ კადეტების ყველა ჭუჭყიან საქმეებში, ყველაზე არამზადულ, ცილისწამებით სავსე თაღლითობაში.

ჩერნოვის „საქმე" სწრაფათ უხელს თვალებს ჩამორჩენილებსაც, ე. ი. ამტკიცებს ამ ჩვენი შეხედულობის სიმართლეს. ჩერნოვის შემდეგ კი „რეჩი" უკვე წერეთელს სდევნის, როგორც „ფარისეველს" და „ციმერვალდელს".

ახლა ბრმებიც დაინახავენ, ქვებიც ღაღადს იწყებენ.

კონტრ-რევოლიუცია ირაზმება. კადეტები მისი საფუძველია. შტაბი და სამხედრო უფროსები, კერენსკი მათ ხელშია, შავრაზმული გაზეთები მათ ემსახურებიან—ყველა ესენი მოკავშირეებია ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციისა.

ბინძური ცილისწამება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე დაეხმარება პროლეტარიატს სწრაფათ გაიგოს, სად არის კონტრ-რევოლიუცია და გაანადგუროს იგი—დაამყაროს თავისუფლება და ზავი, მოუპოვოს პური მშიერთ და მიწა გლეხებს.

# დამოზილება.

ვინმე ფილიპე გიბბსმა, არა ბალშევიკმა, არა სოციალისტმა, არამედ ინგლისელმა პატიოსანმა მოქალაქემ დასწერა წიგნი სათაურით: „ომის სული". ეს წიგნი სავსეა ბრალდებებით დღევანდელი უმაგალითო ომის სულის ჩამდგმელთა წინააღმდეგ. წიგნი დიდათ საინტერესოა ყველა იმათთვის, ვინც სამუდამოთ არ დაბრმავებულა, ან განზრახ არ იბრმავებს თავს.

ქუჩის პრესის წყალობით და ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური უსუსურობის გამო ამ ბოლო დროს გაბატონებული შეხედულება, თითქოს ფრონტზე უკანასკნელ ხანებში გავრცელებული დაძმობილების მისწრაფება მეომარ მხარეთა შორის მარტო ბალშევიკების ქადაგების ბრალი იყო, თითქოს დაძმობილება სწარმოებდეს მარტო რუსეთის ფრონტზე და ისიც რევოლიუციის შემდეგ.

სინამდვილე კი სულ სხვას გვეუბნება. ინგლისელ მოქალაქის ფილიპე გიბბსის წიგნი დაწერილია უფრო ადრე, ვიდრე რუსეთში მოხდებოდა რევოლიუცია და ფრონტზე დაძმობილება შეიქნებოდა ბალშევიკების ერთ ცოდვათაგანი.

აი რას მოგვითხრობს ავტორი:

„ფრანგმა სალდათმა მიაწოდა თავისი წყლის მათარა ნემეც აფიცერს, რომელიც ყვიროდა წყურვილისაგან. ნემეცმა დალია წყალი და შემდეგ ხელზე აკოცა ფრანგ-სალდათს, რომელიც მისი მტერი იყო. „საიქიოს არ იქნება ომიო" დასძინა მან.

ფრანგმა სალდათმა, მონმარტის უბნის მცხოვრებმა, ნახა ნემეცი სალდათი, ლიუქსენბურგის მცხოვრები. ფრანგმა იცნო ნემეცი, რომელიც მსახურობდა პარიჟის ერთ სასტუმროში. ახალგაზდა ნემეცი ატირდა, როდესაც დაინახა თავისი ძველი მეგობარი. „ეს ომი სისულელეა,—უთხრა მან მეგობარს,—ჩვენ ბედნიერები ვიყავით პარიჟში. რათ გვაომებენ ჩვენ ეხლა ერთმანეთ შორის". ნემეცი სალდათი მოკვდა თავისი მეგობარი ფრანგის მკლავზე. ცრემლებს ვერ იმაგრებდა ფრანგი, როდესაც ამ ამბავს მომითხრობდა,—ამბობს გიბსი.

ინგლის-გერმანიის ფრონტის შესახებ აი რას მოგვითხრობს ავტორი:

„ამხანაგური გრძნობა მიაღწია უმაღლეს წერტილამდის საშობაოთ. მტერთა შორის ჩამოვარდა მშვიდობიანობა და ისინი, ვინც ერთმანეთის საჟლეტათ იყვენ მოწვეული, გამოდიოდენ სანგრებიდან და უძმობილდებოდენ ერთმანეთს. არის მრავალი ფოტოგრაფიული სურათები, სადაც ნემეცი და ინგლისელი სალდათები ხელი ხელ ჩაკიდებული დგანან. ისინი აწვდიდენ ერთმანეთს პაპიროსებს და სწყევლიდენ ომს. ომის უაზრობა იყო გაგებული ამ მდაბიო ხალხის მიერ, რომლებიც უძმობილდებოდენ ერთმანეთს. მდგომარეობა ისეთი შეიქნა, რომ საჭირო გახდა ბრძანების გამოცემა ორივე მხრით დაძმობილების წინააღმდეგ. ბრძანებები გამოდიოდენ, მაგრამ ისინი არ ემორჩილებოდენ მათ.

მთელი თვეებით ნემეცი და ინგლისელი სალდათები აწარმოებდენ საიდუმ-

წინააღმდეგ ბრძოლაში მათ მხარის დაჭერაზე უარი თქვას. კითხვის ასე დაყენება ჯერ ერთი მეშჩანური ზნეობის პროლეტარიატზე გადატანა იქნებოდა, ვინაიდან საქმის სარგებლობისთვის პროლეტარიატი ყოველთვის მხარს დაუჭერს არა თუ მარტო ორჭოფს და რყევაში მყოფს წვრილ ბურჟუაზიას, არამედ მსხვილ ბურჟუაზიასაც; მეორეთ, ეს იქნებოდა—და ეს უმთავრესია—მეშჩანური ცდა, რომ ზნეობაზე ქადაგებით საქმის პოლიტიკური შინაარსი დავაბნელოთ. საქმის არსებითი მხარე კი სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ძალა-უფლების მშვიდობიანი გზით ხელთ აღება დღეს უკვე აღარ შეიძლება. მისი მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი გადამწყვეტ ბრძოლაში დასძლევს იმათ, ვინც ახლა ძალა უფლების ნამდვილი მატარებელია; სახელდობრ, „სამხედრო შაიკას", კავენიაკებს, რომლებიც პიტერში ჩამოყვანილ რეაქციონურ ჯარს, კადეტებს და მონარქისტებს ემყარება. საქმე იმაშია, რომ ძალა-უფლების ამ ახალ პატრონების დაძლევა მხოლოთ რევოლიუციონურ ხალხს შეუძლია, რომლის მოძრაობის პირობათ არა მარტო ის ჩაითვლება, რომ მას ხელმძღვანელობა პროლეტარიატმა უნდა გაუწიოს, არამედ ისიც, რომ მან ზურგი უნდა აქციოს რევოლიუციის გამცემლებს, პარტიებს ესერებისას და მენშევიკებისას.

ვისაც პოლიტიკაში მეშჩანური მორალი შეაქვს, იგი ასე მსჯელობს: ვთქვათ, რომ ესერებმა და მენშევიკებმა „შეცდომა" ჩაიდინეს, როცა კავენიაკებს მხარი დაუჭირეს და საშუალება მისცეს პროლეტარიატს და რევოლიუციონურ პოლკებს იარაღი აყარეს; მაგრა საჭიროა საშუალება მივცეთ მათ შეცდომა „გაასწორონ" და მათივე შეცდომის მათ მიერვე გასწორებას „ხელი არ შეუშალოთ"; და წვრილი ბურჟუაზიის მუშებისაკენ გადახრას ხელი შევუწყოთ. ასეთი მსჯელობა ან ბავშური გულუბრყვილობა იქნებოდა ანდა პირდაპირ სისულელე, თუ რომ ამას მუშების ახალ მოტყუებათ არ ჩავთვლიდით. ვინაიდან წვრილ ბურჟუაზიულ მასის მუშების მხარეზე გადახრა მხოლოთ იმაში მდგომარეობს და სახელდობრ იმით იქნებოდა გამოხატული, რომ ეს მასსა განზე გაუდგებოდა ესერებს და მენშევიკებს. „შეცდომის" გასწორება ესერების და მენშევიკების პარტიებს ახლა მხოლოდ იმით შეეძლებოდათ, თუ რომ ეს პარტიები წერეთელსა და ჩერნოვს, დანსა და რაკიტნიკოვს ჯალათის თანამონაწილეებათ გამოაცხადებდენ. ჩვენს სავსებით და სრულიათ შეცდომის მხოლოდ ასე გასწორების მომხრე ვართ...

რევოლიუციის ძირითადი კითხვა ვთქვით ჩვენ, ეს ძალა-უფლების საკითხია. ამას ის უნდა დაუმატოთ, რომ სწორეთ რევოლიუციები გვიჩვენებენ ჩვენ ყოველ ნაბიჯზე, როგორ ეხვევა ბურუსში კითხვა იმაზე, თუ სადაა ნამდვილი ძალა-უფლება; ცხად ყოფენ, თუ სად თავდება ფორმალური და სად იწყება რეალური მხარე ძალა-უფლებისა. სწორეთ ამაში მდგომარეობს ყოველი რევოლიუციური ხანის ერთი მთავარ დამახასიათებელი ნიშანთაგანი. 1917 წ. მარტში და აპრილში შეუძლებელი იყო გარჩევა, თუ ვის ხელთ იყო რეალური ძალა-უფლება: დრ. მთავრობის ხელში თუ საბჭოებისა.

განსაკუთრებით ახლაა საჭირო, რომ შეგნებულმა მუშებმა ფხიზლათ შეხედონ რევოლიუციის ძირითად საკითხს: ვის ხელშია ამ ჟამათ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება. დაფიქრდით იმ ნივთიერ პირობებზე, რომელშიც იგი ცხადდება, ნუ მიიჩნევთ ფრაზებს მის საქმიანობათ და მაშინ პასუხი თქვენთვის ძნელი აღარ იქნება.

სახელმწიფო უწინარეს ყოვლისა ისეთი შეიარაღებულ ადამიანების რაზმია, რომელსაც ნივთიერი ზნე ჩვეულებები სჭირს, მაგალითად ისეთები, როგორებიც არიან მეციხოვნეებიო—სწერდა ფრიდრიხ ენგელსი. ახლა ეს—იუნკრებია, რეაქციონერი ყაზახები, რომლებიც საგანგებოთ ჩამოიყვანეს პიტერში. ეს ისეთი ხალხია, რომელიც კამენევს და სხვებს ციხეში ამყოფებენ (წერილი კამენევის ციხეში ყოფნის დროს არის დაწერილი, ახლა კი, როგორც ვიცით, კამენევი განთავისუფლებულია. მთარგ.). ვინც გაზ. „პრავდა" დახურა, ვინც მუშებს და ჯარის ერთ განსაზღვრულ ნაწილს იარაღი აყარა; ვინც სწორეთ ასეთივე განსაზღვრულ ნაწილს ჯარში დაუნდობლათ ხვრეტს. აი ეს ჯალათებია, რომ დღეს რეალურ ძალა-უფლებას წარმოადგენენ. წერეთლები და ჩერნოვები—ესენი ძალაუფლება მოკლებული მინისტრებია (წერეთელი მაშინ ისევ მინისტრათ ირიცხებოდა. მთარგ.), საიამაშო ტიკინებათ არიან გადაქცეულნი და ისეთი პარტიების წინამძღოლებათ ითვლებიან, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ჯალათობას მხარს უჭერენ; ეს ფაქტია. და ეს ფაქტი ოდნავაც არ იცვლება იმით, რომ პირადათ წერეთელი და ჩერნოვი, ალბათ, არ „იწონებენ" ჯალათობას, რომ მათი გაზეთები ზურგს აქცევენ მას: ასეთი პოლიტიკური ფერისცვალება და მორთულობა საქმის შინაარსს ოდნავათაც არ ცვლის.

პეტროგრადის 150,000 ამომრჩევლის ორგანოს დაკეტვა, იუნკრების მიერ მუშა ვოინოვის მოკვლა 6 ივლისს, როცა მას სტამბიდან „პრავდას ფურცელი" გამოჰქონდა—განა ყოველივე ეს ჯალათობა არაა?! განა ეს კავენიაკების საქმე არაა? ამაში ხომ არც მთავრობას და არც საბჭოებს „ბრალი არ მიუძღვით", გვეტყვიან ჩვენ.

მით უარესი მთავრობისა და საბჭოებისათვის, გიპასუხებთ ჩვენ, ვინაიდან თუ ასეა, მაშინ ისინი არაფერს არ წარმოადგენენ! ისინი მაშ ტაკიმასხარების როლს ასრულებენ, რეალური ძალა მათ არ მოეძევათ.

ხალხმა უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო უნდა გაიგოს სიმართლე, უნდა იცოდეს, თუ ვის ხელშია დღეს ნამდვილათ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება. ხალხს სრული სიმართლე უნდა ვუთხრათ: ძალა-უფლება მხედართა ხროვამ კავენიაკებისამ ხელთ იგდო (კერენსკიმ და კიდევ ვიღაც რამდენიმე გენერალმა და აფიცერმა), რომელსაც მხარს უჭერს ბურჟუაზია, როგორც კლასი კადეტების პარტიის მეთაურობით და ამასთანავე ყველა მონარქისტებთან ერთათ, რომლებიც ყველა შავრაზმულ გაზეთების საშუალებით მოქმედებენ, როგორიც არის „ნოვოე ვრემია", „ჟივოე სლოვო" და სხვები.

ასეთი მთავრობა უნდა დაიგმოს. უამისოთ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაზე ლაპარაკი ცარიელი სიტყვა იქნება, ეს „თავისთავის და ხალხის მოტყუება გამოვა".

ამ მთავრობას ამჟამათ მხარს უჭერს მინისტრი წერეთელი (ახლა კი როგორც ც. ალ. კ. წევრი და ლიდერი. მთარგ.) და მინისტრი ჩერნოვი და ამათი პარტიები. უნდა ავუხსნათ ხალხს, რომ მათი როლი, ჯალათის როლი გახდა და ასეთი „ბოლო" მოჰყვა იმ „შეცდომებს", რომელიც მათ მოუვიდათ 21 აპრილს, 5 მაისს, 9 ივნისს, 4 ივლისს; იმის შემდეგ, როცა მათ მოიწონეს ფრონტზე შეტევის პოლიტიკა, რამაც თითქმის 9 მეათედით წინასწარ გადაჰრა კავენიაკების გამარჯვება ივლისის დღეებში.

მთელი აგიტაცია ახლა ხალხში წარმოებულ უნდა იქნას იმნაირათ, რომ მან ახლანდელი რევოლიუციის კონკრეტიული გამოცდილება სავსებით გამოიყენოს, განსაკუთრებით ივლისის დღეების ამბები, ე. ი. აგიტაცია ცხად უნდა ჰყოფდეს, რომ ხალხის ნამდვილი მტრები არიან: მხედართა ხროვა, კადეტები და შავრაზმელები; იგი გარკვევით უნდა ააშკარავებდეს წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს ესერებისას და მენშევიკებისას რომლებმაც ჯალათების დამხმარე როლი შეასრულეს.

მთელი აგიტაცია ხალხში ახლა ისე უნდა გადაკეთდეს, რომ ცხად ჰყოს სრული უიმედობა, რომ გლეხები მიწას ვერ მიიღებენ, ვიდრე ამ მხედართა ხროვას ძალა-უფლება არ ჩამოერთმევა, ვიდრე ესერები და მენშევიკების პარტიათა მოღალატეობის ნამდვილი სახე არ გამოაშკარავდება-გამოირკვევა და ვიდრე ამათ ხალხის ნდობა არ მოაკლდება. მთელი ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი და ხანგრძლივი იქნებოდა კაპიტალისტური განვითარების „ნორმალურ" პირობებში; მაგრა ომი და ეკონომიური დაცემა (разруха) საქმეს საოცრათ აჩქარებს. ეს ისეთი „დამაჩქარებლებია", რომელთა მეოხებით თვე, თუნდაც კვირაც მთელ წელწადს უდრება.

ლოთ შეთანხმებას. ისროდენ დანიშნულ დროს და დანიშნულ მიზნისკენ, დარწმუნებული იმაში, რომ მოწინააღმდეგე არ გასცემდა მათ. ნემეცის აფიცერმა ამცნო სიგნალით ინგლისის აფიცერს:

— ჩემს სანგრებში ექვსი თქვენი სალდათი იმყოფება—რა უყო მათ?

ინგლისელი უპასუხებს:

— ჩემთან ორია თქვენგანი—სასაცილოა განა!

ინგლისელმა მიმართა ნემცებს:

— გესმით თქვენ, წადით აქედან უმჯობესია, თორემ მე თქვენ ტყვეთ ჩაგთვლით.

— წაგვიყვანეთ ტყვეთ — უპასუხეს ნემცებმა. ინგლისელმა არ ისურვა მათი წადილის დაკმაყოფილება და გარეკა ისინი სანგრიდან.

წიგნში ბევრი რამ არის მოთხრობილი საყურადღებო, მაგრამ ეს ეპიზოდებიც საკმაოთ ახასიათებს თანამედროვე ომის უაზრობას და უპირველეს ყოვლისა უაზრობას და უსინდისობას ყველა იმისა, რაც ითქვა და დაიწერა ბალშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც ყოველივე ღონეს ხმარობდენ, რომ ეს ომი როგორმე გათავებული იქნეს დემოკრატიის მეთაურობით და არა მათი, ვისაც მის გამოწვევაში ადევს ბრალი.

ვიმეორებთ, წიგნის ავტორი არ არის ბალშევიკი, არც სოციალისტია, არამედ პატიოსანი ინგლისელი მოქალაქე.

ს. თ—ია.

# პარტიული ცხოვრება.

## ტფ. კომიტეტის (ბალშევიკების) დადგენილება.

თბილისის ს.-დ. მ. პ. (ბალშევიკების) კომიტეტმა 22 აგვისტოს სხდომაზე მსჯელობა იქონია, სხვათა შორის, რევოლიუციის ნახევარი წლისთავის დღესასწაულის შესახებ, რომელიც გაიმართება დღეს, კვირას, 27 აგვისტოს. ცნო რა კომიტეტმა აუცილებელ საჭიროთ, რომ აღნიშნულ დღესასწაულში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს, დაადგინა: ეს დღე კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის საწინააღმდეგო დემონსტრაციის დღეთ უნდა გადაიქცეს მომავალი ახალი რევოლიუციის ლოზუნგით, რომელიც უკვე გამარჯვებულ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის ხელიდან ძალა-უფლების გამოგლეჯას გამოხატავს. ყველა სიტყვებში და სტატიებში, რომლებიც კი აღნიშნულ საგანს შეეხება, მიტინგზე და მასიურ მსვლელობაში ნათლათ უნდა გამოსჭვივოდეს აზრი ახალი რევოლიუციის აუცილებლობისა და განვლილი რევოლიუციის ნახევარი წლის გამოცდილება გაკვეთილი ცხადათ და გარკვევით უნდა აღინუსხოს.

ამასთანავე კომიტეტმა დაადგინა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი კომისიაში, რომელიც შემდგარია თბილისის მუშების და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ და რომლისასაც ჩვენი კომიტეტი მხოლოთ ტეხნიკურ-ორგანიზაციულ ფუნქციებს ცნობს.

კომიტეტმა შეუძლებლათ დაინახა, რომ „ობორონცებთან“ და ცრუ სოციალისტურ პარტიებთან ერთათ საერთო სადღესასწაულო პროკლამაცია გამოსცეს, რადგან ფურცელში უპირველესათ ლაფასებული იქნება მიმდინარე რევოლიუციის წარსული და აღინიშნება ახალი რევოლიუციის აუცილებლობა, ხოლო არც პირველ საკითხში და არც მეორეში ზემოთ დასახელებულ პარტიებს არ შეუძლიათ შეუთანხმდენ ბალშევიკებს; ამიტომ დღესასწაულის საერთო იდეიური ხელმძღვანელობა შეუძლებელი ხდება: თვითეული პარტია სრულიათ დამოუკიდებლათ გამოვა და თავის საკუთარ ლოზუნგებს წამოაყენებს.

ბალშევიკების წარმომადგენელს ევალება ხელი მოაწეროს კომისიის მიერ შემუშავებულ მხოლოთ სადღესასწაულოთ მოწოდებელ განცხადებაზე.

რაც შეეხება ადმ. კომიტეტის მიერ ამ დღეს ფულის შეგროვების საქმეს, კომიტეტმა დაადგინა, რომ შეგროვილი ფული განაწილდეს შემდეგ ნაირათ: ნახევარი გადაეცეს მუშ. და სალდ. დეპ. საბჭოს, ხოლო მეორე ნახევარი თანასწორათ განაწილდეს თბილისის შემდეგ სამ ორგანიზაციათა შორის: ბალშევიკებისა, მენშევიკებისა და ესერების შორის.

რადგან დრო გასული იყო, ამიტომ კომიტეტმა სხდომა შეწყვიტა და შემდეგი კითხვების გარჩევა-გადაწყვეტა შემდეგი სხდომისათვის გადასდო.

—

## მოხსენება პარტიულ სიეზდზე.

24 აგვისტოს, ავჭალის აუდიტორიაში ამხ. ს. ქავთარაძემ წაიკითხა მოხსენება ჩვენი პარტიის მეექვსე სიეზდის შესახებ. მოხსენება მეტათ შინაარსიანი იყო, დამსწრეთა რიცხვი 300 კაცს აღემატებოდა. ამხ. ქავთარაძემ კრებას განუმარტა, თუ რა აუტანელ პირობებში მოუხდა მუშაობა სიეზდს. 3 და 4 ივლისის შავბნელი დღეები სიეზდზე დამსწრეთ თვალ წინ ედგათ და სიეზდის გამ[...]ისა ანუ უკეთ დაჭერის მოლოდინში, ისინი იძულებულნი იყვნენ არალეგალურათ ეწარმოებიათ მუშაობა. თავისუფალს რუსეთში რევოლიუციის მომხდენ პროლეტარიატის პარტიას ჟურნალებსა და სარდაფებში მოუხდა გარკვევა და შემუშავება რევოლიუციის მრავალ საკითხებისა. კონტრ-რევოლიუციის ერთგულს დარაჯს და მოტრფიალეს, დროებით მთავრობას შემთხვევისათვის რომ ჰქონოდა ფორმალური უფლება სიეზდის გარეკისათვის, ამიტომ მან სწრაფათ სიეზდებისა და კრებების დახურვის კანონიც კი გამოსცა. მაგრამ მან ასეთი ნაბიჯი მაინც ვერ გადადგა, რადგან სიეზდი მუშათა ერთ დიდ რაიონში ხდებოდა და იქ მისვლა და თავის ძალის გამოჩენა არც ისე ადვილი იყო. სიეზდზე მონაწილეობას იღებდა 170 ორგანიზაციის წარმომადგენელნი, რომელნიც თავის რიგში 240.000 პარტიის წევრს ითვლის. ამხ. მომხსენებლის სიტყვით იმ მხრივ, აპრილში მომხდარ უკანასკნელს კონფერენციის შემდეგ, ჩვენი პარტია ერთი სამათ გაზრდილა. საყურადღებოა, რომ 3—4 ივლისის ამბებს არამც თუ არ დაუცია პრესტიჟი ბალშევიკების პარტიისა, არამედ პროლეტარულ მასსისათვის ცხადათ დაუნახვებია ვინ არის იმისი მტერი და ვინ მოყვარე. შემდეგ ამხ: ქავთარაძე დაწვრილებით შეეხო საკითხს პეტროგრადის პროლეტარიატის ყველა უკანასკნელს გამოსვლებს და აღნიშნა რა მდგომარეობა და პირობები აიძულებდენ მასსას ქუჩაზე გამოსულიყო. მან სთქვა, რომ ჩვენთვის, ვინც პროვინციაში ვცხოვრობთ, ბევრი გაუგებარი და მიუწდომელი იყო მაშინ, ხოლო თვით პეტროგრადში, სადაც მოხდა პირველი რევოლიუცია და შემდეგაც მეტათ მწვავეთ გრძნობდა რევოლიუციონური მასსა ყველა სიდუხჭირეს პოლიტიკურსა და ეკონომიური ხასიათისას, პროლეტარიატს და ჯარს არ შეეძლო დარჩენილიყო უბრალო მაცქერლათ. საქმე უფრო გამწვავდა მას შემდეგ, როცა 18 ივნისს ჩვენი ჯარი თავდასხმაზე გადავიდა. ცხადი იყო, რომ როგორც თავდასხმაზე გადასვლა, ისე იმ დროს წამოყენებული საკითხი— პეტროგრადიდან მცხოვრებთა და ყველა ზავოდებ-ფაბრიკების სხვაგან გადატანა მიმართული იყო უმთავრესათ რევოლიუციის წინააღმდეგ, რევოლიუციის შინ და გარეთ ლიკვიდაციისაკენ. ყველგან და ყველაფერში რევოლიუციის მტრებს ერთი მიზანი ამოქმედებდათ და ამიტომ ერთი გეგმით სწარმოებდა რევოლიუციის ჩაფუშვის საქმე. პოლიტიკურათ გაწვრთნილი, შეგნებით შეიარაღებული მუშათა კლასი პეტროგრადისა კი კარგათ ხედავდა ბურჟუაზიის ვერაგობას, გამყიდველობას და ნიშნათ პროტესტისა, თავისი ნების გამოხატვისა, ქუჩაზე გამოდიოდა, მშვიდობიანი დემონსტრაციითატყობინებდა ქვეყანას, რომ რევოლიუციის ჩაწიხვლას არავის აპატიებს.

ამნაირად დადგა ივლისის დღეებიც და 1 და 2 ივლისს, როცა პეტროგრადში ჩვენი პარტიის საქალაქო კონფერენციაზე რამდენიმე პოლკების წარმომადგენელნი მივიდნენ და გამოაცხადეს, რომ ჯარში დიდი აღელვებაა და თხოულობენ ქუჩაზე სადემონსტრაციოთ გამოსვლას. კონფერენცია იმ ჟამათ წინააღმდეგი იყო რაიმე დემონსტრაციის მოხდენის და ამ მიზნით კონფერენციაზე მოსულ დელეგაციას კატეგორიული უარი უთხრა. მიუხედავათ ამისა დელეგატები მაინც თავისას მოითხოვდენ და ამტკიცებდენ, რომ ბალშევიკებს პარტიას აუცილებლათ ხელმძღვანელობა გაეწია მომავალ გამოსვლებისათვის. მაშინვე დაიშალა კონფერენცია, ყველა იქ დამსწრენი პოლკებსა და ფაბრიკა-ზავოდებში წავიდენ მასსის დასარწმუნებლათ, რომ არ გამოსულიყო ჯარი და მუშები ქუჩაზე, მაგრამ ამაოთ. 3 ივლისს სხვადასხვა პოლკები და მუშები უკვე თავრიდის სასახლეს მიადგნენ. 3 და 4 ივლისის გამოსვლები იყო მშვიდობიანი და არავითარ ძალმომრეობას და შეთქმულებას ადგილი არ ჰქონია. ჯარი და მუშები თხოულობდენ აელოთ მუშათა და სალდათთა საბჭოებს მთელი ძალა-უფლება ხელში. ეს იყო მხოლოთ სურვილი, თხოვნა, რევოლიუციონური პეტროგრადის და ამ მხრივ არავითარ ძალდატანებას ადგილი არა ჰქონია. მაგრამ, როგორც ვიცით, საბჭოები დაიბნენ, შეეშინდათ ბურჟუაზიის, რევოლიუციონური პასუხისმგებლობის და ასეთ უფლების ხელში აღებაზე უარი სთქვეს. აქ მოხდა შეტაკებაც. ბურჟუაზიულმა პეტროგრადმა, რომელიც აშკარათ უკვე კონტრ-რევოლიუციის გზას დაადგა, სადაც ის ბუნაგობს, ნევის პროსპექტის სახლების სახურავებიდან და ფანჯრებიდან მშვიდობიან დემონსტრანტებს პულემეტები დაუშინა. კონტრ-რევოლიუციონერებს დემონსტრატებმაც ტყვიითვე გასცეს პასუხი. იყო მსხვერპლი ორივე მხარეს. ამავე დროს დრ. მთავრობის მიერ ფრონტიდან გამოწვეული კონტრ-რევოლიუციონური ჯარებიც მოვიდა პეტროგრადში და კონტრ-რევოლიუციონერები თავის საქმეს შეუდგენ. ამხ. მომხსენებლის სიტყვით, მენშევიკ-ობორონცები, როგორც ლიბერი, დანი და სხვები 3 ივლისს ბალშევიკებთან ერთად იყვნენ, ეხვეწებოდენ და ემუდარებოდენ მათ, რომ მოძრაობა ხელში აელოთ, რომ რევოლიუციონური პეტროგრადის აღშფოთება სამართლიანია და სხ., ხოლო 4 ივლისს კი, როცა დაინახეს ფრონტიდან კონტრ რევოლიუციონური ჯარი მოსული, სწრაფათ შეიცვალეს იმათაც ფრონტი და ბურჟუაზიასთან ერთათ ყველაფერი ბალშევიკებს გადააბრალეს. თუმცა მათ კარგათ იცოდნენ, რომ ბალშევიკები არაფერ შუაში იყვნენ. ამის დასამტკიცებლათ ამხ. ქავთარაძემ დაასახელა ის დოკუმენტი, რომელიც ჩაკერებული ყოფილა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საქმეებში და რომელიც ცხად ყოფს ბალშევიკების სიმართლეს 3 და 4 ივლისის გამოსვლებში. აქედან დაიწყო ათასგვარი ცილისწამება, დევნა და ჭერა ბალშევიკების [...]თი ბელადებისა. დღეს უკვე ყვე[...]ცის, როგორ დაკეტეს გაზეთი „[...]და“, როგორ დალეწეს ჩვენი სტამბა, სხვა.

ამხ. ქავთარაძემ აღნიშნა, რომ [...] ცენტრალური კომიტეტის სტამბა რედაქცია აიკლეს სწორეთ იმათ, ვინც გზავნილ იყო იქ სტამბის და რედაქ[...] დასაცავათ. შემდეგ მომხსენებელმა [...] მარტა 20 და 21 ივლისს გამართულ[...] კრობა წერეთელსა და კადეტებს [...] სწორეთ რომ ისტორიული ყოფილ[...] ვაჭრობა. მუხლმოდრეკილი ეხვეწ[...] წერეთელი კადეტებს, რომ [...]ლიყვნენ ისინი სამინისტროში. [...]ტები საქმის ხალხია და იმათ სან[...]ტალობა არ უყვართ. მთელი რიგი [...]ხოვნილებისა წარუდგინეს მათ დემ[...]ტიის წარმომადგენლებს. პირველი [...] ეს სრული დამოუკიდებლობა და [...] უფლებობა ახალი სამინისტროსი, [...]ვე—ომის ბოლომდე გაგრძელება, ზედაც წერეთელმა და ჩხეიძემ [...] თანხმობა განაცხადეს და ამნაირა[...] ვისივე ხელით მუშათა საბჭოების [...] ბობას ყელი გამოსჭრეს. აქედან [...] საბჭოების ავტორიტეტის ფართო [...] დაკარგვა, ბურჟუაზიული პრესის [...] საბჭოების ყბად აღება და საჯარო[...] თხოვნა, რომ ისინი არ არიან [...] და უნდა გაქრნენ.

ამხ. ქავთარაძე შეეხო ფინლანდ[...] უკრაინის, სტოკჰოლმის კონფერენ[...] საკითხებსაც და ამ მხრივ ბევრი [...]რესო მასალა მისცა დამსწრე [...] აგრეთვე მან აღნიშნა ციფრებით [...] თუ რანაირ ეკონომიურ კრიზისს [...]დის რუსეთი და კერძოთ პეტროგ[...] რამდენათ საგრძნობელია ფინან[...] და სამეურნეო მდგომარეობა მთელ[...] ხელმწიფოსი. დასასრულ დაასკვნ[...] ხსენებელმა, რომ რუსეთი სრულ [...]რების გზაზე დგას, რომ დროებით[...]რობა მთლათ ამერიკისა და ინგ[...] კაპიტალისა და დიპლომატიის [...] და ხსნა მხოლოდ ახალ რევოლ[...] და ევროპისა და რუსეთის ბურჟ[...]თან კავშირის სრულიად შეწყვეტ[...] უძლიო.

—

შესაძლოა, ზემოთ ნათქვამის წინააღმდეგ ორი რამ მოსაზრება ითქვას: პირველი, დღეს გადამჭრელ ბრძოლაზე ლაპარაკი ცალკე გამოსვლების წაქეზებას და მოწონებას ნიშნავს, რაც სწორეთ კონტრ-რევოლიუციისთვის იქნებოდა ხელსაყრელი. მეორე ის, რომ დღევანდელი მთავრობის დამხობა ძალა-უფლების იმავე საბჭოების ხელში გადასვლა იქნებოდა.

პირველის საპასუხოთ ჩვენ ვიტყვით, რომ რუსეთის მუშები საკმაოთ შეგნებული არიან და მათთვის საზარალო დროს ისინი პროვოკაციას არ აჰყვებიან. ახლა მათი გამოსვლა და წინააღმდეგობა კონტრ-რევოლიუციის ხელის შეწყობა რომ იქნება, ეს ცხადია. გადამჭრელი ბრძოლის გამართვა რომ მხოლოთ მაშინ არის შესაძლებელი, როცა რევოლიუციის ხელ ახალი აზვირთება თვით უფართოეს და უდიდეს მასსებსაც სამოქმედოთ გამოიწვევს, ესეც სადაო არაა. მაგრამ რევოლიუციის აზვირთებაზე, მის ხელახალ დასაწყისზე, ევროპის მუშების მხრივ დახმარებაზე და სხვა ამგვარებზე ლაპარაკი როდია საკმაო. საზოგადოთ პირდაპირი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ მთელი ჩვენი წარსულიდან და ამ წარსულის გაკვეთილები ვასწავლოთ. და ყველა ამების გათვალისწინება სწორეთ იმ ლოზუნგს გვაძლევს, რომელიც ჩვენ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ გადამჭრელ ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს.

მეორე საწინააღმდეგო აზრიც იმაში მდგომარეობს, რომ ცდილობს კონკრეტიული ჭეშმარიტებანი მეტისმეტად ზოგადი მოსაზრებებით შეცვალოს. კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის ჩამოგდება სხვა არავითარ ძალას არ შეუძლია, გარდა რევოლიუციონური პროლეტარიატისა. 1917 წ. 4 ივლისის გამოცდილების შემდეგ მან დამოუკიდებლათ ხელთ უნდა იღოს სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, ვინაიდან გარეშე ამისა რევოლიუციის ხსნა აღარ შეიძლება. პროლეტარიატის ხელში ძალა-უფლების გადასვლა, მისი მხარის დაჭერა ღარიბ გლეხკაცობის ანუ ნახევრათ პროლეტარების მხრივ, აი ერთათ ერთი გამოსავალი და უკვე ზემოთ ვთქვით, თუ სახელდობრ რა გარემოებათ შეუძლიათ მისი საგანგებოთ დაჩქარება.

საბჭოებს შეუძლიათ და კიდეც უნდა შეიძლონ ამ ახალი რევოლიუციის დროსაც არსებობა, მხოლოთ არა დღევანდელმა საბჭოებმა, არა ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკის ორგანოებმა, არამედ მის წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლის ორგანოებმა. რომ ჩვენ ამ დროსაც მთელი სახელმწიფოს ტიპის საბჭოსებურათ გარდაქმნის მომხრე ვიქნებით, ესეც მართალია. ეს საბჭოების კითხვა კი არაა, არამედ უკვე არსებულ კონტრ-რევოლიუციასთან, უკვე არსებულ საბჭოების გამცემლობასთან ბრძოლის საკითხია.

განყენებულით კონკრეტიული შეცვლა რევოლიუციაში ერთი უმთავრესი ცოდვათაგანია. დღევანდელი საბჭოები დაეცნენ და მათ სრული კრახი განიცადეს სწორეთ იმიტომ, რომ იქ ესერების და მენშევიკების პარტიები ბატონობდენ.

ამ ჟამათ ეს საბჭოები იმ ცხვრებს მოგვაგონებენ, რომლებიც სასაკლაოზე მიურეკიათ, ბასრი ნაჯახის ქვეშ დაუყენებიათ, რომ თავები წაჭრან და ისინიც საცოდავათ ბღავიან. საბჭოები ახლა უძლურნი არიან და უმწეონი გამარჯვების გზაზე დამდგარ კონტრ-რევოლიუციის წინაშე.

საბჭოების ხელში ძალა-უფლების გადასვლის ლოზუნგი ახლა შეიძლება გაიგონ, როგორც მოწოდება ამ ძალა-უფლების „უბრალოთ“ გადასვლისა ახლანდელი საბჭოების ხელში და ამაზე ლაპარაკი, აქეთკენ მოწოდება ახლა ხომ ხალხის მოტყუება იქნებოდა. მოტყუებაზე საშიფათო კი არა არის რა.

კლასიური და პარტიული ბრძოლის განვითარების ერთი წრე რუსეთში 27 თებერვლიდან ვიდრე 4 ივლისამდე უკვე დამთავრდა. ახლა იწყება ახალი წრე, რომელშიაც ძველი კლასები, ძველი პარტიები, ძველი საბჭოები კი არ შედიან, არამედ ბრძოლის ქარცეცხლით განახლებულნი და ბრძოლის მსვლელობაში გამობრძმედილნი, განსწავლულნი და გადახალისებულნი. უნდა გავყურებდეთ უკან კი არა, არამედ წინ. უნდა შევაკავშიროთ ძველი კი არა, არამედ ახალი—ივლისის დღეების მერმინდელი კლასიური და პარტიული კატეგორიები. ახალი ციკლის, განვითარების ახალი ხანისყ დასაწყისიდან უნდა გამოვიდეთ, დავიწყოთ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის გამარჯვებიდან, რაც ესერებისა და მენშევიკების მასთან შეთანხმების პოლიტიკის მეოხებით მოხდა და რომლის დაძლევა-დამარცხება შესაძლებელია მხოლოთ რევოლიუციონურ პროლეტარიატის საშუალებით. რევოლიუციის ამ ახალ წრეს, ციკლს ცხადია, კიდევ ბევრი სხვა და სხვა ეტაპი და საფეხური გამოუჩნდება მანამ, ვიდრე კონტრ-რევოლიუციაზე საბოლოოთ გამარჯვებას მოვიპოვებდეთ, ვიდრე ესერების და მენშევიკების საბოლოოთ დამარცხებას (უბრძოლველათ) ვიხილავდეთ, ვიდრე ისევ ახალი რევოლიუციის ახალ აზვირთებას განვიცდიდეთ. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ხომ მხოლოთ შემდეგში შეიძლება, როცა ეს ეტაპები და საფეხურები გამოინასკვებიან ცალკ-ცალკე…

—

### ბრძოლის ფონდი.

—

**ქ. სარაყამიში.**

ამხანაგო რედაქტორო! გაახლ[...] მანეთს ქ. სარაყამიშში ამხანაგებ[...] თანამოაზრეთა შორის შეგროვილ [...] გაზეთი „ბრძოლის“ ფონდის სას[...]ლოთ. დეე, იარსებოს მუშათა ინ[...]სების დამცველმა ორგანომ! დე[...]ხოს მუშათა პრესამ და ნახონ იმ [...]ტონებმა, ვინც დასცინის მუშათა [...]სას და გაიგონ, თუ ვინ ინახავს მ[...] ინტერესების დამცველ ორგანოს: [...] მანიის ფული, თუ რუსეთის პრო[...]რიატი?

ამხანაგების მონდობილობით ა. [...]

—

**ქ. ქუთაისი.** სალამს მიუძღვნით „ბრძოლას“ ქუთ. თანამოაზრეთა [...]ფი, ვუსურვებთ მხნეობას და ბრ[...]ველზე შეუპოვარ იერიშების მ[...] მტერზე. „ბრძოლის“ შეუწყვეტე[...] მოსვლა, ეს ლახვარია დღევანდელ[...]დებული რევოლიუციის დიდმსკ[...]ბის ხელის შემშლელთა გულში [...]ბილი ჩვენს ნიადაგზე, ჩვენს ქვეყ[...] მაშ გაუმარჯოს „ბრძოლას“ და მ[...] ნამშრომელთ! გიგზავნით მცირედ წ[...] 47 მან. 70 კაპ.

ამხ. მონდ. კ. კალანდაძ[...]

ყოველკვირეული საკოოპერაციო ჟურნა[...]

„კავშირი“

ორგანო ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი[...]

ჟურნალი ღირს ამ წლის ბოლომდე 6 მანეთი ცალკე ნომერი 20 კაპ. [...] გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით; Тифлисъ, Закавказскому юзу потребительныхъ обществъ для „Кавшири“.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება კავშირის საინსტრუქტორო ნაწილში, [...]ლოვის პროსპექტი, სახლი № 178.

Электропечатня газ. «Тифлисскій Листокъ» Х. Г. Хачатур[...]нсюа.